



ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

სსიპ - სახელმწიფო ენის დეპარტამენტსა და სსიპ ბათუმის საზღვაო აკადემიას
შორის

ქ. ბათუმი

ივნისი -2019 წელი

ერთი მხრივ, სსიპ - სახელმწიფო ენის დეპარტამენტი (შემდგომში „დეპარტამენტი“) წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის, გიორგი ალიბეგაშვილის სახით და მეორე მხრივ, სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის საზღვაო აკადემია წარმოდგენილი მისი რექტორის, ირაკლი შარაბიძის სახით, შემდგომში წოდებულნი „მხარეებად“, ნებაყოფლობით გამოთქვამენ სამეცნიერო, კვლევით და საგანმანათლებლო სფეროებში თანამშრომლობის სურვილს და აფორმებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

1. მემორანდუმის მიზნები

1. წინამდებარე მემორანდუმის მიზანია ერთობლივი საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროექტების დაგეგმვა და შესრულება სახელმწიფო ენის კონსტიტუციური სტატუსის დაცვის, საჯარო სივრცეში სახელმწიფო ენის სრულფასოვანი მიმოქცევის უზრუნველსაყოფად, ნორმალიზაცია-სტანდარტიზაციის პროცესის შედეგების ეფექტური დანერგვა და ამ პროცესისთვის ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერის მოპოვება, ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის განახლება და შევსება, ერთენოვანი და მრავალენოვანი ტერმინოლოგიური ლექსიკონების, საზღვაო ტერმინოლოგიის ელექტრონულ რესურსებისა და ელექტროპორტალების შექმნა, კვლევითი პრიორიტეტების განსაზღვრა და პროექტების განხორციელება, აგრეთვე თანამშრომლობა დარგობრივი დოკუმენტაციის შესწავლის, დაცვისა და პოპულარიზაციის, ასევე საარქივო, სამუზეუმო, ბიბლიოგრაფიული და სამეცნიერო მემკვიდრეობის შესწავლის, კვლევისა და დაცვის სფეროებში.

2. მხარეები უზრუნველყოფენ სახელმწიფო ენის ფუნქციონირების, საზღვაო ტერმინოლოგიის დაცვისა და კვლევის საკითხებთან დაკავშირებული კვლევების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში, რაც გამოიხატება სასწავლო პროგრამებისა და რესურსების განვითარებაში, აგრეთვე, საზღვაო ტერმინთა თარგმნასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტასა და იდენტიფიცირებაში.
3. მხარეები ხელს შეუწყობენ კვლევით და სასწავლო პროცესში მკვლევარებისა და სტუდენტებისათვის თემატური კვლევითი და სამეცნიერო რესურსების წვდომას.
4. მხარეები წახალისებენ თანამშრომლობას ორმხრივი ინტერესების შესაბამისად.
5. მხარეები მოამზადებენ საზღვაო ტერმინოლოგიასთან დაკავშირებულ ერთობლივ სხვადასხვა მიზანდასახულობის პროექტებსა და სამეცნიერო კვლევებს.
6. მხარეები მოამზადებენ და გამართავენ ერთობლივ თემატურ კონფერენციებს, სამეცნიერო და სასწავლო სემინარებს; ორგანიზებას გაუწევენ სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო ღონისძიებებს, რომლებიც ენობრივი და ტერმინოლოგიური შემკვიდრების შევსებასა და სრულყოფას, აგრეთვე სამოქალაქო ინტეგრაციას შეუწყობს ხელს.
7. მხარეები ისწრაფვიან საზოგადოებაში ცოდნის გავრცელებისა და ინფორმირებისაკენ.
8. მხარეები ერთობლივად გამოსცემენ ურთიერთთანამშრომლობით შექმნილ სამეცნიერო და სასწავლო პროდუქციას.

2. ინტელექტუალური საკუთრება

1. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში თანამშრომლობის შედეგად შექმნილ საერთო გამოცემებსა და საინფორმაციო მასალებზე წინასწარ შეთანხმების საფუძველზე გამოყენებული იქნება საზღვაო აკადემიისა და დეპარტამენტის სიმბოლიკა.
2. წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში ერთობლივად შექმნილ დოკუმენტებზე ინტელექტუალური საკუთრება ერთობლივად ეკუთვნის მემორანდუმის ორივე მხარეს. ამ დოკუმენტების გამოყენებაზე აუცილებელია ორივე მხარის თანხმობა.

3. მხარეთა ვალდებულებები

1. წინამდებარე მემორანდუმი ადგენს მხარეთა ძირითად შეთანხმებას ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

2. მემორანდუმზე ხელმომწერი ორივე მხარე ადასტურებს, რომ უზრუნველყოფენ შესაბამისი ღონისძიებების გატარებას წინამდებარე მემორანდუმით დასახული მიზნების მისაღწევად.

3. წინამდებარე მემორანდუმის ორივე მხარე მემორანდუმის პირობებს ასრულებს კეთილსინდისიერებისა და ურთიერთპატივისცემის საფუძველზე. ორივე მხარე საქმიანობას წარმართავს ურთიერთშეთანხმებისა და კოორდინაციის პრინციპებზე დაყრდნობით.

4. მემორანდუმზე ხელმომწერი ორივე მხარე იღებს ვალდებულებას, შეუთანხმონ ერთმანეთს ისეთი ქმედებები, რომლებიც შეიძლება შეეხოს მეორე მხარის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს.

4. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე მემორანდუმის საფუძველზე მხარეთა ურთიერთობა არ ნიშნავს მხარეთა შორის რაიმე სახის ასოციაციის, კავშირის და/ან გაერთიანების შექმნას და მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეებს არა აქვთ უფლება იმოქმედონ მეორე მხარის სახელით.

2. საჭიროებისამებრ თანამშრომლობის დამატებითი მიმართულებები და სფეროები შესაძლებელია განისაზღვროს მემორანდუმის საფუძველზე გაფორმებული ცალკე ხელშეკრულებით.

3. საჭიროებისამებრ წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული კონკრეტული აქტივობების განხორციელება განისაზღვრება მხარეთა შორის დამატებითი წერილობითი შეთანხმებით და წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს.

4. წინამდებარე მემორანდუმში მხარეთა ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე შესაძლებელია შეტანილ იქნას ცვლილებები და დამატებები, რომლებიც მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

5. წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება მემორანდუმის მხარეთა შორის კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების გზით.

6. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე ორი (2) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

7. წინამდებარე მემორანდუმი ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით მხარეთა მიერ მის გაუქმებამდე.

8. წინამდებარე მემორანდუმის მოშლა დასაშვებია ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მეორე მხარის წერილობითი ფორმით წინასწარ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე ინფორმირების გზით.

მხარეთა ხელმოწერები

სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტი
გიორგი აღიბეგაშვილი, თავმჯდომარე




სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი, ბათუმის
საზღვაო აკადემიის ინჟინერი მარაბიძე
რექტორი


